

პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:10

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები


” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

ZEWSGES პროექტის ეკოგანათლების პროგრამა (EEP)

ეკოგანათლების პროგრამა სტარტს იღებს 2019 წლის სექტემბერში პროექტის პარტნიორ ქვეყნებში, თურქეთი, ბულგარეთი, უკრაინა და საქართველო. პროგრამა მოიცავს მოკლე ვიდეოებს, ტრენინგ სახელმძღვანელოს, თამაშებს და ასე შემდეგ. პროგრამა სულ მალე 4 ენაზე მომზადდება და ხელმისაწვდომი გახდება 7 -16 წლის ასაკის 2000 მდე სკოლის მოსწავლისა და მათი მასწავლებლებისთვის.

EEP -ის პოსტერი

პროექტის პოსტერი პარტნიორი ქვეყნების ენაზე მზად არის გამოსაყენებლად. პოსტერის მიზანია დაწყებითი და უფროსკლასელი მოსწავლეების და მათი მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიური ნაკვალავის შემცირების კუთხით ჯანსაღი გარემოსა და ჯანსაღი ცხოვრებისთვის.



მე ვამცირებ ჩემს ეკოლოგიურ ნაკვალავს ჯანსაღი გარემოსათვის

- ✓ მე მაქვს ცოდნა ეკოსისტემისა და ბუნებრივი ბალანსის შესახებ.
- ✓ მე მოვიხმარ ენერჯისა და წყალს პროდუქტიულად
- ✓ უპირატესობას ვანიჭებ საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ველოსიპედს
- ✓ მოვიხმარ ნაკლებს და გამოვყოფ ნაკლებ ნარჩენს.
- ✓ წვლილი შემაქვს ჩემს მიერ გამოწვეული ნარჩენების გადამუშავებაში
- ✓ ვიცავ ჩვენს ტყეებს და მის ბინადრებს და მხარს ვუჭერ მათ დამცველებს.
- ✓ მე ვარ მოხალისე გარემოს დამცველი, მონაწილეობას ვიღებ ღონისძიებებში რომელიც მიმართულია გარემოს დაცვისკენ

Figure. პროექტის პოსტერი და მისი შიინარაი

EEP-ის ბროშურა



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:10

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

“პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

პოსტერის მსგავსად, ბროშურაც ნათარგმნია პარტნიორი ქვეყნების ენაზე, ბროშურის მიზანია, დაწყებითი და უფროსკლასელი მოსწავლეების და მათი მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება ეკოსისტემაზე და მათი განათლება, რათა შეძლონ შემდეგ კითხვებზე პასუხი:

- რა არის ეკოსისტემა?
- რა არის ეკოსისტემის კომპონენტები?
- როგორ უნდა მივადწიოთ ბუნებრივ ბალანსს ეკოსისტემაში?
- რა აქტივობები აფერხებენ ბუნებრივ ბალანსს ეკოსისტემაში?
- მეც ვაბინძურებ?
- რა უნდა გავაკეთოთ ეკოსისტემის დასაცავად?
- რა შემიძლია მოვიმოქმედო ეკოსისტემის დასაცავად?
- დასკვნები



Figure. ბროშურის ყდ და შიდა გვერდი

რა არის ეკოსისტემა?

ეკოსისტემა ეს არის მუდმივმოქმედი სისტემა, რომელიც წარმოიქმნება ბიოლოგიური ორგანიზმების, ისეთების როგორცაა მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები და მათ გარშემო არსებული აბიოტური კომპონენტების, მაგალითად ნიადაგი, ჰაერი, წყალი, ურთიერთქმედების შედეგად.

რა არის ეკოსისტემის კომპონენტები

ეკოსისტემა მოიცავს სამ ცოცხალ ჯგუფს,წარმომქმნელები, მომხმარებლების და დამშლელებისგან.წარმომქმნელები არიან ფოტოსინთეზური ორგანიზმები, როგორცაა მცენარეები., მომხმარებლები მტაცებელ და მცენარისმჭამელები. დამშლელების ჯგუფი შედგება ბაქტერიებისა და სოკოსგან.,წარმომქმნელები ახორციელებენ ფოტოსინთეზს, მომხმარებლები სუნთქავენ და დამშლელები ახდენენ მცენარეებისა და ცხოველების ნარჩენების დეკომპოზიციასა და გადამუშავებს. დორგანული და არაორგანული ნივთიერებები, როგორცაა



Project funded by
EUROPEAN UNION



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:10

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

ენერგია, ჰაერი, წყალი, ნიადაგი , კლდე წარმოადგენენ ასევე ეკოსისტემის არაცოცხალ კომპონენტებს. ეკოსისტემებია ასევე დედამიწა, კონტინენტი, რეგიონი, მდინარე, აუზი. გარედან ამ სისტემებს მხოლოდ მზის ენერგია ემატება, იმ შემთხვევაში თუ დედამიწის ეკოსისტემა დაზიანდა , მზის ენერგიას გამანადგურებელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს.

როგორ ნარჩუნდება ბუნებრივი ბალანსი ეკოსისტემაში?

ეკოსისტემის ცოცხალ და არაცოცხალ ელემენტებს შორის ხდება ე.წ თანამშრომლობა. ბუნების ყველა ელემენტი ამ სისტემის ნაწილია და საკუთარი ამოცანა აკისრია. ერთი ელემენტის დაზიანებას ანდა ამ თანამშრომლობის არასათანადო მუშაობს გავლენა აქვს მთლიან სისტემაზე. ადამიანის ჯანმრთელობას, წარმოებასა და ეკოლოგიუკ ბალანს შორის ძალიან მჭიდრო კავშირია. მაგალითად მწვანე საფარის დაიზანება იწვევს ჟანგბადის გამოყოფის შემცირებას. ეს კი თავის მხრივ, ცხოველებსა და ადამიანებზე უარყოფითად აისახება.

რა ქმედებები აზიანებენ ბუნებრივ ბალანსს ეკოსისტემაში?

სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოსაყენებელი ქიმიური სასუქები

მათი გადამეტებული გამოყენება აბინძურებს სუფთა წყლის რესურსებს, უარყოფითად აისახება მცენარების სტრუქტურაზე და ასევე არღვევს ცოცხალი ორგანიზმების აგებულებას , რომლებიც დაზიანებული მცენარეებით იკვებებიან. შესაბამისად, ეს ყველაფერი აუარესებს ადამიანების ჯანმრთელობას, რომლებიც ამ მცენარეებს მოიხმარენ.

პესტიციდების არაგონივრული მოხმარება : შესხურების/შეწამვლის შედეგად ნიადაგში გროვდება მავნე ქიმიური ნივთიერებები, რაც ცოცხალ ორგანიზმებს ვნებს.

ქლორფტორ ნახშირბადი, რომელიც პარფიუმერიის ინდუსტრიაში გამოიყენება. პარფიუმერიის აირები , რომელიც ვრცელდება ჩვენს გარშემო იწვევს ოზონის შრის დათხელებას, რის შედეგადაც მზის მავნე სხივებისგან დაცვა ვეღარ ხდება, რა თქმა უნდა ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

წიაღისეულის გაზები, როგორცაა ნახშირი და ნავთობი აბინძურებს ჰაერს: ქარხნების საკვამურებიდან და მანქანებიდან გამოფრქვეული აირები და გამონახობლქვი იწვევს მჟავა-წვიმას და აზიანებს მცენარეებს ასევე ნეგატიურად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. სათბურის ეფექტის გამო ეს გაზები გლობალურ დათბობის გამოწვევასაც უწყობენ ხელს. გლობალური დათბობა წარმოადგენს გარემოს ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც თავდაყირა დააყენებს ეკოსისტემის ბალანსს და საშინელი შედეგების მომტანი იქნება ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის.

მწვანე საფარის და სატყეო ტერიტორიების დესტრუქცია:



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:10

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

ეს გახლავთ ყველაზე საყურადღებო ფაქტორი რომელიც არღვევს ბუნების ბალანსს. შედეგად ვეღარ ხერხდება მავნე აირების განდევნა რის გამოც იზღუდება რიგი ცხოველთა ჯიშებისა, რომელიც ეკოსისტემის შემადგენელი ნაწილია.

პლასტიკატებისა და მსგავს ნივთიერებებს ბუნებაში დაშლისათვის ასობით წელი სჭირდება: ის უკიდურესად ნეგატიურად მოქმედებს ბუნებაზე, განსაკუთრებით კი ზღვის ბინადრებზე

წყლის რესურსების გადაჭარბებული გამოყენება: გამომდინარე იქიდან, რომ გამოყენებული წყალი დაბინძურებულია და მისი ჩადინება წყლის რესურსებში ხდება, ის აზიანებს ტანდაბალ მცენარეებს და შედეგად ეკოსისტემას.

მეც ვაზინძურებ?

ეკოსისტემის დაცვისა და მდგრადობისთვის არსებობს კონკრეტული ანგარიშვალდებულებები, რომელიც ეკისრება როგორც ინდივიდიებს/ადამიანებს, ასევე ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს. ადამიანის გავლენას ეკოსისტემაზე ეწოდება „ეკოლოგიური ნაკვალევი“ ან „ნახშირბადის ნაკვალევი“

ადამიანთა ასეთ ზემოქმედებას/ ნაკვალევს შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ:

- მოხმარებული საკვების რაოდენობა
- საცხოვრებელი პირობები და დახარჯული ენერჯია
- ტრანსპორტის ხარისხი და ტრანსპორტირების დროს დახარჯული წიაღისეული საწვავის რაოდენობა , როგორცა ბენზინი ან დიზელი
- სამომხმარებლო პროდუქტის წარმოებითა და პოს-მანუფაქტურული აქტივობებით გამოწვეული ზიანი.
- სხვადასხვა მახასიათებლები ან ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია ბუნებაში, განათლების , ჯანდაცვის, კომერციის ანდა ტურიზმის სერვისების მიღებით.
- ადამიანთა მიერ დატოვებული ნაგვის/ნარჩენის რაოდენობა და მახასიათებლები.
- ადამიანების მიერ ბუნებაზე გავლენა ფასდება ეკოლოგიური ნაკვალევის საშუალებით, ამ თვალსაზრისით, არსებობს მოლოდინი, რომ, ადამიანი შეუმჩნეველ ნაკვალევს ტოვებს.



Project funded by
EUROPEAN UNION



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:10

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

რა უნდა მოვიმოქმედოთ ეკოსისტემის დასაცავად?

ადამიანების მიერ უნდა გადაიდგას ქვემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯები ,რათა შევინარჩუნოთ ხანგრძლივი, სიცოცხლისუნარიანი, ჯანსაღი და დაბალანსებული ეკოსისტემა.

- სასოფლო სამეურნეო სფეროში მოხმარებული პესტიციდებისა და სასუქების რაოდენობა უნდა შემცირდეს „კარგი მეურნეობის პრაქტიკებით”
- წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, უნდა მოხდეს ინდუსტრიული და საშინაო ნარჩენი წყლის გაწმენდისა და გადამუშავების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- უნდა შეიქმნას ნარჩენებსგან გაწმენდის ინფრასტრუქტურა, კერძოდ ბუნებრივი კატასტროფების ნარჩენებისთვის.
- უნდა მოხდეს წყალდიდობის გაფრთხილების სისტემების დამონტაჟება
- უნდა გაიზარდოს განახლებადი რესურსების მოხმარება და დაფინანსება როგორცაა მზის, ქარის ან გეოთერმული ენერჯია
- დაცული უნდა იყოს სატყეო ტერიტორია და ბუნებრივი ჰაბიტატი
- უნდა მოხდეს ტერიტორიის არასწორი გამოყენების და ეროზიის პრევენცია.
- უნდა გაკონტროლდეს ყველა აქტივობა რომელიც რაიმენაირად იწვევს კლიმატის ცვლილებას.

რა უნდა მოვიმოქმედოთ ეკოსისტემის დასაცავად?

ეკოსისტემის დაცვა და შენარჩუნება არ წარმოადგენს მხოლოდ ორგანიზაციებისა თუ ინსტიტუციების პასუხისმგებლობას, ეს ჩვეულებრივი ადამიანების ვალდებულებაა. ინდივიდის მიერ ეკოსისტემაზე მოხდენილ გავლენასა თუ ზემოქმედებას „ეკოლოგიური ნაკვალევი” ან „ნახშირბადის ნაკვალევი” ეწოდება. ეკოლოგიური ნაკვალვის განსაზღვრით, იზომება ადამიანის გავლენა ბუნებაზე. ამ კუთხით, არსებობს მოლოდინი, რომ ადამიანი დატოვებს, რაც შეიძლება უმნიშვნელო ნაკვალვეს. საშუალო სტანდარტული საცხოვრებელი პირობების მქონე



Project funded by
EUROPEAN UNION



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:10

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

ოთხ სულიანი ოჯახის მიერ ნახშირბადის წლიური ემისია 3 ტონას აღწევს. ამ აირის გასანეიტრალებლად თითოეულმა ოჯახმა 7 ხე უნდა დარგოს.

თითოეული ადამიანი, რომელიც ეკოსისტემაში არსებობს ამ ეკოსისტემის ნაწილია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერს, მიუხედავად ასაკისა, აქვს პოტენციალი შეასრულოს აქტიური როლი ეკოსისტემის ფუნქციონირებაში. ადამიანები თანაბრად პასუხობენ/რეაგირებენ დადებით თუ უარყოფით გავლენაზე, რომელსაც ეკოსისტემაზე ახდენენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მცირედ ცვლილებასაც კი ჩვენს ქცევაში შესაძლოა ჰქონდეს უდიდესი შედეგი ეკოსისტემის დაცვის თვალსაზრისით.

ყველა სტუდენტს შეუძლია ეკოსისტემის შენარჩუნება სწორისა და ნაკლების მოხმარებით, გადამუშავებაზე ყურადღების გამახვილებით, და ველოსიპედების საშუალებით გადაადგილებით. ეკოსისტემის დასაცვად ადამიანთა ინდივიდუალური მცდელობების გარდა, დამატებით, შესაძლოა მოხდეს მოხალისე გარემოს დაცმვლების დასაქმება სხვადასხვა ორგანიზაციაში.

დასკვნები

ეკოსისტემის სიჯანსაღე იზომება იმ მტაცებელთა სიჯანსაღით, რომლებიც კვებითი ჯაჭვის სათავეში იმყოფებიან. ჩვენ, როგორც, ამ სათავეში მყოფ ადამიანებს, გვმართბს ეკოსისტემის ბალანსის შენარჩუნება, ისევ და ისევ ჩვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად.



Project funded by
EUROPEAN UNION



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:10

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020

მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი

გამოქვეყნების თარიღი: 30 ივნისი, 2019 წ.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020 თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ნამიკ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.



Project funded by
EUROPEAN UNION

